ზმნის დროების ათვისება 18 - დან 30 - თვემდე, ტიპური განვითარების, ქართულენოვან ბავშვებში

მარიამ ადამია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის ენისა და მეტყველების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2022

აბსტრაქტი

არსებული ნაშრომის მიზანია, 18 - დან 30 - თვემდე ბავშვებში, ზმნის დროის ათვისების კვლევა, იმაზე დასაკვირვებლად, თუ რა ასაკში და რა თანმიმდევრობით ხდება ზმნის სხვადასხვა ფორმის ათვისება.

კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა და ეყრდნობა 40 ქართულენოვანი ბავშვის (29 გოგონა და 11 ბიჭი) ბუნებრივი სიტუაციებიდან აღებულ ვიდეო-აუდიო მასალას და ტრასნკრიპტს. ბავშვების ტიპური განვითარება შეფასდა ასაკების და ეტაპების კითხვარის ASQ-3-ის გამოყენებით. შეირჩა ოთხი ასაკობრივი კატეგორია: 18-21 თვე; 22-24 თვე; 25-27 თვე; 28-30 თვე, თითოეულ კატეგორიაში 10 ბავშვი. შერჩეულ ბავშვებთან ვიდეო-აუდიო ჩანაწერი კეთდებოდა ბუნებრივ გარემოში (ჯამში 30 წთ), გაკეთდა ტრანსკრიპტი, რომლიდანაც გამოიყო ზმნები, დალაგდა დროების, მწკრივებისა და სერიების მიხედვით, შემდგომ მონაცემები დამუშავდა SPSS - ის პროგრამაში და შედეგები წარმოდგენილია დიაგრამების და ცხრილის სახით.

შედეგები: მოცემულ კვლევაში, არსებული მონაცემების მიხედვით, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ზმნის რაოდენობა, რომელიც ბავშვის მეტყველებაში სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ისინი თანდათანობით იძენენ ზმნის მრავალფეროვან ფორმებს. თავდაპირველად (18 თვეში) ჩანს იმპერატივის გამოყენება, შემდგომ მოდის აწმყო დრო, შემდეგ ნამყო და 20 თვიდან მომავალი დრო შემოდის ამ პერიოდიდან ჩანს ზმნის სხვადასხვა დროის აქტიურად გამოყენება.

დასკვნა: არსებულ კვლევაში ვლინდება, რომ 18 თვის ასაკში ბავშვები მეტყველებაში საწყის ფორმად იყენებენ ზმნის ბრძანებით კილოს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მოთხოვნის ან სურვილის გამოხატვა. შემდეგ თვეებში იწყება აწმყო, წარსული და მომავალი დროის გამოყენება. ასაკების მიხედვით ზმნის ათვისების საშუალო რაოდენობა შემდეგნაირია:

18-21 თვე - იმპერატივი 45%, აწმყო 31%, ნამყო 14%, კავშირებითი 10%

22-24 თვე - იმპერატივი 36 %, აწმყო 37%, ნამყო 15%, კავშირებითი 12%

25-27 თვე - იმპერატივი 20%, აწმყო 40 %, ნამყო 22%, კავშირებითი 18 %

28- 30 თვე - იმპერატივი 27%, აწმყო 35 %, ნამყო 22%, კავშირებითი 16%

საკვანძო სიტყვები: ზმნის დროების განვითარება; ქართულენოვანი ბავშვი; ზმნის დროების ათვისება; ზმნის დროების გამოყენება;

Abstract

The purpose of this research is to study an acquisition of verb tenses in children aged between 18 and 30 months in order to observe in what sequence and at what age are acquired verb's different forms by the children.

This research is quantitative in nature and is based on video-audio materials and transcripts obtained from natural environment of 40 Georgian-speaking children (29 girls and 11 boys). Typical development of the children assessed by ASQ-3 questionnaire by ages and types. Four age categories were chosen: 18-21 months; 22-24 months; 25-27 months; 28-30 months, with 10 children in each category. Video-audio recordings with the selected children were made in a natural environment (30 minutes in total). A transcript was made, from which verbs were separated and sorted by tenses, sequences and series. After that the produced data were processed in SPSS program and the results are presented via diagrams and tables.

The results: According to the obtained data based on this research the number of verbs are increased while increasing children's age, which are expressed in different ways in a child's speech. They gradually acquire various forms of verbs. At early ages (18 months) the use of imperative form is observed that is followed by the present tense and after that appears past tense. At the age of 20 months the use of future tense of the verb are observed. From this age of the children active use of verbs' different forms are observable.

Conclusion: This research reveals that children at the age 18 months use imperative form of a verb as the initial form in their speeches in order to express their requests or desire. The use of verb's different tenses, such as present, past and future tenses is started by the children in

the following months. The average number of acquiring verb forms by children's age are as follows:

18-21 months – imperative 45%, present 31%, past 14%, connective 10%

22-24 months – imperative 36%, present 37%, past 15%, connective 12%

25-27 months – imperative 20%, present 40%, past 22%, connective 18%

28-30 months – imperative 27%, present 35%, past 22%, connective 16%

Keywords: verb tense development; Georgian-speaking child; Assimilation of verb tenses; Use of verb tenses;